საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-963

27/11/2018

ქ. თბილისი

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. უკანავას მიმდებარე ტერიტორიაზე შპს „ბახვი 2“-ს მდ. ბახვისწყალზე „ბახვი 2“ ჰესის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის ამავე კოდექსის I დანართის 22-ე პუნქტის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. უკანავას მიმდებარე ტერიტორიაზე შპს „ბახვი 2“-ს, მდ. ბახვისწყალზე „ბახვი 2“ ჰესის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა #51; 20.11.2018 წ.
2. შპს „ბახვი 2“-მ სავალდებულოა გზშ-ს ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს #51; 20.11.2018 წ. სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ბახვი 2“-ს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ბახვი 2“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ოზურგეთის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფებზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი